



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №-02

2011 წლის 6 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის თანდართული ფორმა (დანართი №-1) .

2. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის თანდართული ფორმა (დანართი №2).

3. დამტკიცდეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმის დამტკიცების თაობაზე“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 22 ნოემბრის №-86 დადგენილება.

5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე